Programme

Antonín Dvořák
Concerto for Cello and Orchestra in B Minor, Op. 104, B. 19
In 1892, Antonín Dvořák travelled to the United States where he composed some of his most famous works, including the Cello Concerto. Having heard the Second Cello Concerto by Victor Herbert in 1894, Dvořák decided to write a concerto for his friend, the cellist Hanuš Wihan, who eagerly advised him on the cello part. While composing the Concerto, Dvořák learned that the love of his youth, his wife's sister, Josefina Kaunitzová had become seriously ill. The Concerto reflects his thoughts and memories of her. In the second movement, Dvořák introduces the melody of his own song "Let My Soul Fly Away" which used to be Josefina's favourite. This tune returns in the coda of the finale. Dvořák added it to the third movement after Josefina's death, eschewing the traditional cadenza. Instead of the virtuoso passages of a soloist, we suddenly hear at the end of the gay and light-hearted movement Josephine's favourite melody, sad and contemplative. It gradually disappears under the breathing sound... flying away ... and, as the composer himself writes, "the last bars are taken up by the orchestra and the whole concludes in a stormy mood". After its premiere in 1896, the Concerto gained immense popularity, being recognised among the best Cello Concertos of all time. Dvořák's friend and mentor Johannes Brahms is reported to have remarked: "Why in the world didn't I know one could write a cello concerto like this? If I'd only known I'd have done it long ago!"

Ludwig van Beethoven
Symphony No. 3 in E-flat Major, Op. 55, "Eroica"
Beethoven's Symphony No. 3, commonly known as the "Eroica Symphony," was composed in 1803-1804. The symphony marks

composed in 1803-1804. The symphony marks a significant turning point in Beethoven's career and in the history of symphonic music. Originally, Beethoven had dedicated the Third Symphony to Napoleon Bonaparte, whom he admired for his democratic and revolutionary ideals. However, when Napoleon declared himself Emperor in 1804, Beethoven, disillusioned by the betrayal of his ideals, removed the dedication and instead named the symphony "Sinfonia Eroica" (Heroic Symphony). The score was published in 1806 under the Italian title "Sinfonia Eroica ... composta per festeggiare il sovvenire di un grande Uomo" ("Heroic Symphony, composed to celebrate the memory of a great man"). The first public performance of Beethoven's Third Symphony took place on 7 April 1805, at the Theater an der Wien in Vienna. The "Eroica Symphony" played a pivotal role in the transition from the Classical to the Romantic era. Beethoven's use of expanded orchestration, intricate thematic development, and unconventional harmonies set new standards for symphonic writing, inspiring generations of composers to follow. Besides, Beethoven's innovative approach to form, his emotional depth, and his exploration of the human spirit greatly influenced subsequent composers, inspiring them to push the boundaries of music and embrace the Romantic ideals of individual expression and artistic freedom. The "Eroica Symphony" remains one of Beethoven's most celebrated and frequently performed works, cherished for its expressive power, innovation, and enduring influence on the course of musical history.

Meanwhile in Georgia…

While Shalva Mshvelidze (1904-1984) created the first Georgian symphony in 1943, it was Andria Balanchivadze (1906-1992) who achieved a significant milestone in 1944. The brother of the renowned choreographer George Balanchine, Andria composed his First Symphony, which is recognized as the first classic example of a Georgian symphony. This remarkable piece had a profound impact on the trajectory of Georgian music, serving as an

trajectory of Georgian music, serving as an inspiration for other Georgian composers to delve further into this genre and continue their work in symphonic music.

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ანტონინ დვორჟაკი

კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის სი მინორი, თხზ. 104, B. 19

1892 წელს ანტონინ დვორჟაკი ამერიკაში გაემგზავრა, სადაც შექმნა თავისი რამდენიმე ყველაზე ცნობილი ოპუსი, მათ შორის - ჩელოს კონცერტი. 1894 წელს ვიქტორ ჰერბერტის მეორე ჩელოს კონცერტის მოსმენის შემდეგ დვორჟაკმა გადაწყვიტა, დაეწერა კონცერტი თავისი მეგობრისთვის, ჰანუშ ვიჰანისთვის, რომელიც დაიხმარია კიდეც ჩელოს პარტიაზე მუშაობისას. კონცერტის წერისას დვორჟაკმა შეიტყო, რომ მისი სიყრმის სიყვარული, მისი მეუღლის და ჟოზეფინა კაუნიცოვა მძიმედ დაავადდა. მასზე ფიქრებმა და მოგონებებმა კონცერტში აისახა. მეორე ნაწილში ჩნდება მელოდია დვორჟაკის სიმღერისა „მიეცი უფლება ჩემს სულს, გაფრინდეს“, რომელიც ჟოზეფინას ჰყვარებია ძალიან. ეს მელოდია ბრუნდება ფინალის კოდაშიც - ის დვორჟაკმა უკვე ჟოზეფინას გარდაცვალების შემდეგ დაამატა მესამე ნაწილს. სწორედ ამ კოდას შეეწირა ჩელოს კადენცია: სოლისტის ვირტუოზული პასაჟების ნაცვლად, საცეკვაო რიტმებით გაჯერებული ფინალის ბოლოს „მოულოდნელად“ ჩვენ ვისმენთ ჟოზეფინას საყვარელ მელოდიას. ის თანდათანობით ქრება, ისმის ამოსუნთქვა - დვორჟაკი თითქოს აძლევს უფლებას სულს, გაფრინდეს... და, როგორც თავად კომპოზიტორი წერს, „კონცერტის ბოლო ტაქტებს თავის თავზე ორკესტრი იღებს, ამთავრებს რა ნაწარმოებს მგზნებარე ხასიათში“. კონცერტმა პრემიერისთანავე (1896) მოიპოვა უდიდესი პოპულარობა და გარკვეული დროის შემდეგ ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის წოდებაც დაიმსახურა. „რატომ არ ვიცოდი, რომ შესაძლებელია ჩელოს კონცერტის ასე დაწერა?“, - აღმოხდა იმავე 1896 წელს

დვორჟაკის უფროს მეგობარსა და მენტორს იოჰანეს ბრამსს, „რომ მცოდნოდა, ამას დიდი ხნის წინ თავად გავაკეთებდი".

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი
სიმფონია No. 3 მი ბემოლ მაჟორი, თხზ. 55, „გმირული“
ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მესამე სიმფონია, ყველასათვის ცნობილი როგორც „გმირული“ სიმფონია, 1803-1804 წლებში დაიწერა. მისი შექმნა გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა როგორც ბეთჰოვენის შემოქმედების, ისე სიმფონიური მუსიკის ისტორიისათვის. თავდაპირველად ბეთჰოვენმა იგი მიუძღვნა ნაპოლეონ ბონაპარტს, რომლის დემოკრატიულმა და რევოლუციურმა იდეალებმა კომპოზიტორი აღაფრთოვანა. თუმცა, როდესაც ნაპოლეონმა 1804 წელს თავი იმპერატორად გამოაცხადა, თავისი იდეალებისადმი ღალატით იმედგაცრუებულმა ბეთჰოვენმა გააუქმა მიძღვნა და ამის ნაცვლად სიმფონიას დაარქვა „გმირული სიმფონია“. პარტიტურა გამოიცა 1806 წელს იტალიური სახელწოდებით "Sinfonia Eroica ... composta per festeggiare il sovvenire di un grande Uomo" (გმირული სიმფონია, შექმნილი დიდი ადამიანის ხსოვნის აღსანიშნავად). სიმფონიის პირველი საჯარო შესრულება შედგა 1805 წლის 7 აპრილს ვენის თეატრში. „გმირულმა“ სიმფონიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა კლასიციზმიდან რომანტიზმის ეპოქაზე გადასვლაში. ბეთჰოვენის მიერ გაფართოებული ორკესტრის, რთული თემატური განვითარების ხერხებისა და არატრადიციული ჰარმონიების გამოყენებამ შექმნა სიმფონიური წერის ახალი სტანდარტები, რომლებიც შემდგომი თაობების კომპოზიტორებისთვის შთაგონების წყაროდ იქცა. ამავე კომპოზიტორებზე დიდი გავლენა მოახდინა ასევე ბეთჰოვენისეულმა ნოვატორულმა მიდგომამ ფორმისადმი, მისი მუსიკის ემოციურმა სიღრმემ და ადამიანის სულის ახალი შრეების კვლევამ. ბეთჰოევნის გაველნით, მუსიკოსებმა დაიწყეს კლასიკური მუსიკის საზღვრების

გაფართოება, ინდივიდუალური გამოხატვისა და მხატვრული თავისუფლების რომანტიკული იდეალების ათვისება. სწორედ ამიტომ „გმირული“ სიმფონია რჩება ბეთჰოვენის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ და ხშირად შესრულებად ნაწარმოებად, რომელიც განსაკუთრებით დაფასებულია მისი ექსპრესიული ძალის, ნოვატორობისა და მუსიკის ისტორიის მსვლელობაზე უდიდესი ზეგავლენის გამო.

ამ დროს საქართველოში...
მართალია, პირველი ქართული სიმფონია 1943 წელს შალვა მშველიძემ (1904-1984) შექმნა, ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი მიღწევა ანდრია ბალანჩივაძეს (1906-1992) ეკუთვნის. ცნობილი ქორეოგრაფის ჯორჯ ბალანჩინის ძმამ, ანდრიამ 1944 წელს დაწერა თავისი პირველი სიმფონია, რომელიც აღიარებულია ქართული სიმფონიის პირველ კლასიკურ ნიმუშად. ამ გამორჩეულმა ნაწარმოებმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული მუსიკის განვითარებაზე და არაერთი ქართველი კომპოზიტორისთვის იქცა შთაგონების წყაროდ.

31 August - 10 September 2023

5TH ANNIVERSARY

PROGRAMME NOTES
BY NINO JVANIA